პრესრელიზი

პირველად საქართველოში - ქართული ხელნაწერების 3D ვიდეო-ინსტალაცია

12 ნოემბერს, ორშაბათს, 19:00 საათზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (მის. თავისუფლების მოედანი, N2) თამარ მეფის დარბაზში, გაიმართება კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული უნიკალური კოლექციის 3D ვიდეო-ინტალაცია. ღონისძიების სტუმრები იქნებიან: საქართველოს მთავრობა, დიპლომატიური კორპუსი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, დონორი ორგანიზაციები და საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის ძალზედ მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და კულტურული მემკვიდრეობის საცავი. მის კოლექციებში შემონახულია როგორც საეკლესიო, ასევე საერო შინაარსის უნიკალური ხელნაწერები - ძვირფასი ქვებით მოჭედილ ყდებში ჩასმული მდიდრულად მოხატული სახარებები, ასევე, ასტროლოგიური, „ქართლის ცხოვრების“, „ ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი რუკები და სხვ.

პირველად საქართველოში, აღნიშნული უძვირფასესი კოლექციის პრეზენტაცია განხორციელდება 3D ვიდეო-ინსტალაციის გამოყენებით.

„თანამედროვე, კონცეპტუალური ხედვით დამთვალიერებელი მიიღებს ინფორმაციას ქართულ იდენტობაზე და საქართველოს ინტელექტუალურ-კულტურულ წარსულზე. გამოფენა ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას, სააართველოს პოზიციონირებას ევროპაში და ტურისტული პოტენციალის გამვითარებას. ინსტალაცია, თავისი კონცეფციითა და ესთეტიკით, ღირსეული გზავნილი იქნება მსოფლიოს კულტურულ სივრცეში.“ - აცხადებს ხსლნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, ზაალ აბაშიძე.

ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია რამდენიმე წიგნის პრეზენტაცია, მათ შორის გამომცემლობა „ბაკმის“ მიერ გამოცემული ბეგთაბეგისეული „ვეფხისტყაოსნისა“ და ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილი წიგნისა „ქართული ხელნაწერი“.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაბიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Tel: 577 977 199

მარია წერეთელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Tel: 598 84 84 88

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.maniscript.ge